ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი აწესრიგებს:

ა)ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების პირობებს;

ბ)წესი ვრცელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეებზე, რომლებსაც საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში ჰყავთ სხვადასხვა სახის შინაური ცხოველი – ძროხა, ცხენი, ვირი, თხა, ცხვარი, ღორი (გარდა ძაღლებისა და კატებისა).

მუხლი 2. წესის მიზანი

წესის მიზანია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში იერსახის, სისუფთავის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა)პატრონიანი ცხოველი – ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე და კონკრეტული მომენტისთვის იმყოფება მეპატრონის, ან მეპატრონის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ;

ბ)უმეთვალყურეო შინაური ცხოველი – ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება მეთვალყურეობა;

გ)შინაური ცხოველის მესაკუთრე (მეპატრონე) – პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის წინამდებარე წესით დადგენილ მოვლა-პატრონობას;

დ)შინაური ცხოველის მოვლა-პატრონობა – ცხოველის კვება, ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით. ვეტერინარული ზედამხედველობა და მომსახურება - დაავადების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა;

ე) ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება – ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა;

ვ)ცხოველთა სადგომი – სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, რომელშიც შესაძლებელია ცხოველთა გარკვეული რაოდენობის მოთავსება მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

მუხლი 4. შინაური ცხოველების მესაკუთრეების (მეპატრონეები) ვალდებულებები

შინაური ცხოველების მესაკუთრეები(მეპატრონეები) ვალდებულნი არიან:

ა) არ დაუშვან შინაური ცხოველების გაშვება სპეციალური იზოლირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ: ქალაქის ქუჩებში, პარკებში, მოედნებსა და სკვერებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;

ბ) მკაცრად დაიცვან შინაური ცხოველების შენახვის წესები, უზრუნველყონ გარემომცველ პირთა უსაფრთხოება და არ დაუშვან შინაური ცხოველების მიერ საერთო საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დაბინძურება, მწვანე ნარგავების (მწვანე საფარის) დაზიანება, აგრეთვე, შინაური ცხოველებისათვის არაკეთილსაიმედო (ანტისანიტარიული) პროდუქტების გამოყენება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების სახით;

გ) ცხოველის გვამის დამარხვა განახორციელონ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

დ)უზრუნველყონ ცხოველის ყოველწლიური ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმება, ვაქცინაცია, მკურნალობა და სხვა;

ე) ცხოველისათვის დაავადების კლინიკური ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ ვეტერინარს;
ვ) აანაზღაურონ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი/ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების პირობები, კონტროლზე უფლებამოსილი ორგანო და მისი პასუხისმგებლობა

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში (ქალაქის პარკებში, ქუჩებში, მოედნებსა და სკვერებში, და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) აკრძალულია შინაური ცხოველების გადაადგილება. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ, მოხეტიალე შინაურ ცხოველზე კონტროლს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი (საიდენტიფიკაციო ნომერი 415101507), რომელიც ახდენს მოხეტიალე შინაური ცხოველის დაჭერას და გადაჰყავს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სადგომზე), სადაც ხდება შინაური ცხოველის იზოლირება.
2.მოხეტიალე, უმეთვალყურეო შინაური ცხოველების იზოლირება-განთავსება ხდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სადგომზე) სათანადო მოვლის, შენახვის, დაცვის, კვებისა და დარწყულების უზრუნველყოფით.
3.უმეთვალყურეო ცხოველის დაჭერის შემთხვევაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი **(შემდგომში – უფლებამოსილი პირი)** აღნიშნული ქმედების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ იმგვარად, რომ ივარაუდებოდეს ინფორმაციის საზოგადოების ფართო ფენებისადმი მისაწვდომობა. გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოწოდებას მესაკუთრის მიერ დაკავებული შინაური ცხოველის წაყვანის შესახებ.
4.უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე და ვალდებულია:
ა)სათანადო დონეზე განახორციელოს იზოლირებული ცხოველის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დაცვა, კვება და დარწყულება;
ბ)არ განახორციელოს იზოლირებული შინაური ცხოველის მიმართ არაჰუმანური და კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი;
გ) აწარმოოს ცხოველთა მონაცემების ბაზა.
5. უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია დაკავებული შინაური ცხოველის ჯანმრთელობაზე და მისი ბრალით ზიანის დადგომის შემთხვევაში აქვს ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. შინაური ცხოველის მესაკუთრის (მეპატრონის) პასუხისმგებლობა

ქალაქის ქუჩებში, ბაღებში, პარკებში, სკვერებში, გაზონებში შინაური ცხოველის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, მესაკუთრის (მეპატრონე) პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.